ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ხათუნა გრიგალაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

სანდრო ჯორბენაძე – კომისიის წევრი

ია გაბედავა – კომისიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.01.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 001/15

შეკითხვა:

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი კლიენტი ადვოკატს უყენებს პირობას, რომ თუ საქმე არ დასრულდა მისთვის სასარგებლო შედეგით, იგი თავს მოიკლავს. ადვოკატის მოსაზრებით, კლიენტმა შესაძლოა მართლაც ჩაიდინოს თვითმკვლელობა, ვინაიდან რამოდენიმეჯერ მიმართა პროტესტის უკიდურეს ზომებს. ამავდროულად, კლიენტი ასეთ ზომებისათვის მიმართვას იყენებს, როგორც ერთგვარ ტაქტიკას მისი საქმის გასაჯაროებისათვის, მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებების მოსაზიდად.

ადვოკატის განმარტებით, თუ იგი მიმართავს შესაბამის პირებს კლიენტზე მეთვალყურეობის დასაწესებლად და მისი მოქმედებების გარკვეულწილად შეზღუდვისათვის, კლიენტი ვეღარ შეძლებს მისი ქმედებებით საქმის გასაჯაროებას, რაც შეიძლება ჩაითვალოს მისი ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად. თუმცა, ეს ხელს შეუწყობს კლიენტის სიცოცხლის შენარჩუნებას, რადგან, როგორც აღინიშნა, არსებობს საფუძველი, რომ კლიენტმა, გარკვეული დროის შემდეგ, მართლაც ჩაიდინოს თვითმკვლელობა.

როგორ უნდა მოიქცეს ადვოკატი?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილი: „ადვოკატი კლიენტთან თავის საქმიანობას იწყებს კლიენტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ურთიერთობას უთანაბრდება, როდესაც ადვოკატს შეეძლო ევარაუდა, რომ შეთანხმებას დებდა კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, გარდა სავალდებულო (იძულებითი) დაცვის შემთხვევისა."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი : „ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით."

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: „ადვოკატს უფლება აქვს კლიენტის ინტერესების დასაცავად გამოიყენოს ყველა საშუალება, რომელიც აკრძალული არ არის კანონმდებლობით ან პროფესიული ეთიკის ნორმებით."

ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იწყება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების ფორმა აღნიშნული მუხლის მიხედვით დადგენილი არ არის. შესაბამისად, იგი შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ისე ზეპირი ფორმით. ნებისმიერ შემთხვევაში ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა დაწყებულად ჩაითვლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 709 - ე მუხლის მიხედვით, აღნიშნული შეთანხმება განიხილება, როგორც დავალების ხელშეკრულება, ვინაიდან ადვოკატი რწმუნებულებით ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი განამტკიცებს შესაძლებლობას პირმა დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება. გამონაკლისების გარდა, კანონი არ ითვალისწინებს ხელშეკრულების დადების ვალდებულებას. პირი, რომელსაც სურს ხელშეკრულების დადება, უფლებამოსილია, ასევე, თავისუფლად აირჩიოს კონტრაჰენტი. ხელშეკრულების დადების თავისუფლება გულისხმობს იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ უარი თქვან მის შესრულებაზე და შეწყვიტონ იგი.

ხელშეკრულების თავისუფლების მეორე მნიშვნელოვანი ელემენტია ხელშეკრულების შინაარსის თავისუფალი განსაზღვრის უფლება. ხელშეკრულების მხარეებს თვითონვე შეუძლიათ დამოუკიდებლად შეთნხმდნენ ხელშეკრულების ყველა საკითხზე. მათ უფლება აქვთ მათ შორის ურთიერთობა მოაწესრიგონ ისე, როგორც სურთ, თუმცა, აუცილებელია კანონის ფარგლებში მოქმედება.

სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუ მხარეები შეთანხმდებიან მის არსებით პირობებზე. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატსა და კლიენტს შორის, სავარაუდოდ არსებობდა წერილობითი ან ზეპირი შეთანხმება, რომელიც არ ითვალისწინებდა საქმის დასრულებას კლიენტის შეხედულებისამებრ და მისი სურვილების გათვალისწინებით, რადგან კლიენტის ინტერესების დაცვის ვალდებულება ადვოკატს არ აძლევს უფლებას გამოიყენოს კანონსაწინააღმდეგო საშუალებები, თუნდაც ამას კლიენტი ითხოვდეს და საჭიროდ მიაჩნდეს დაცვის ამგვარი გზით განხორციელება.

შეთანხმებაში, სავარაუდოდ, არ უნდა დაფიქსირებულიყო ადვოკატის გარანტია კლიენტის საქმის მისთვის წარმატებით დასრულების შესახებ. გარანტიის მიცემა დაუშვებელია აპეკ-ის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილით.

ეთიკის კომისიამ 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, დისციპლინური საქმეზე №054/11 განმარტა: „საქმეზე გარანტიის მიცემა კლიენტისათვის, იქნება ეს სასამართლო პროცესი თუ ადმინისტრაციული სამართალწარმოება, მაშინ, როდესაც ადვოკატის დანაპირები არ სრულდება, იწვევს ნდობის დაკარგვას ადვოკატთა პროფესიისადმი და, დამატებით, მართლმსაჯულების სიტემის დისკრედიტაციას.“

შესაბამისად, რადგან ადვოკატი არ მიუთითებს, რომ მან გარანტია მისცა კლიენტს, რაც თავის მხრივ, იქნებოდა აპეკ-ის დარღვევა, კლიენტის განცხადება, რომ საქმის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში თავს მოიკლავს, „ავალდებულებს“ ადვოკატს კლიენტის სასარგებლოდ დაასრულოს საქმე-„ავალდებულებს“ მას მისცეს კლიენტს გარანტია. კლიენტის ეს განცხადება, შესაძლოა ჩაითვალოს კლიენტის მხრიდან ახალ ოფერტად, რომელსაც, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატს შეუძლია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს. რასაკვირველია, ეს გულისხმობს, რომ თავდაპირველი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები უნდა შესრულდეს.

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა უნდა განუცხადოს კლიენტს, სასურველია წერილობითი სახით, რომ ის თანახმაა გააგრძელოს ურთიერთობა მხოლოდ პირველადი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და არა ახალი ოფერტის, კერძოდ კი კლიენტის სასურველი შედეგის დადგომის მიზნით თავისი სიცოცხლის მოსპობის მუქარის მიხედვით, რადგან ადვოკატი არ უნდა იყოს მისთვის დავალებული ყოველი ქმედების ამსრულებელი-მას ზღუდავს როგორც კანონისა და ეთიკის კოდექსის ნორმები, ასევე, პროფესიული სტანდარტები.

კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპიდან გამომდინარე, ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას, პირად და სხვა პირთა ინტერესებთან უპირატესობის გათვალისწინებით.

ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე №022/11 2011 წლის 03 ივნისის გადაწყვეტილებით დაადგინა: „კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შეიძლება შეფასდეს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობაზე, ასევე, ადვოკატთა პროფესიულ კორპორატიულ ინტერესსზეც. ადვოკატი მხოლოდ კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით უნდა მოქმედებდეს, რაც გულისხმობს, რომ კლიენტის ინტერესები ადვოკატის პირად ინტერესებზე ან სხვა პირთა ინტერესებზე მაღლა უნდა განიხილებოდეს.“

მოცემულ შემთხვევაში, საქმე ეხება კლიენტის მთავარი ღირებულების-სიცოცხლის დაცვას, რის უზრუნველსაყოფადაც ადვოკატი ვალდებულია განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება. ადვოკატმა უნდა მიმართოს სასჯელაღსრულების დაწესებულების უფროსს შესაბამისი ზომების მისაღებად და, ასევე, შეატყობინოს კლიენტის ოჯახს სიტუაციის შესახებ. კლიენტის სიცოცხლის უფლება სხვა ყველა მის შესაძლო ინტერესზე მაღლა დგება, ამიტომ, სიცოცხლის უზრუნველსაყოფად განხორციელებული ქმედებები, ეთიკის კომისიაში შესაძლო სამართალწარმოების შემთხვევაში, სავარაუდოდ, არ ჩაითვლება კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო მოქმედებად.

აღნიშნული პირებისათვის შეტყობინებისა და სათანადო ზომების მიღების შემდეგ, უნდა გაირკვეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის გაგრძელების საკითხი-თუ ასეთ პირობებში ექნება კლიენტს სურვილი მისი ინტერესების დაცვა განაგრძოს იმავე ადვოკატმა და იარსებებს ორმხრივი თანხმობა, მათი ურთიერთობა ახალი პირობების შესაბამისად გაგრძელდება.

დასკვნა:

თუ კლიენტი სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფ ადვოკატს უყენებს პირობას, რომ საქმის წარუმატებლად დასრულების შემთხვევაში თავს მოიკლავს, ეს სავარაუდოდ განიხილება, როგორც ახალი ოფერტი, რომელზეც ადვოკატს შეუძლია განაცხადოს ან არ განაცხადოს თანხმობა, თავდაპირველი ხელშეკრულებისაგან დამოუკიდებლად. ადვოკატი უნდა მოქმედებდეს კანონისა, პროფესიული ეთიკისა და პროფესიის მაღალი სტანდარტების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ პროტესტის უკიდურესი ზომებისათვის მიმართვა შესაძლოა იყოს კლიენტის ერთგვარი ტაქტიკა, ადვოკატმა, კლიენტის სიცოცხლის შენარჩუნების მიზნით, უნდა მიმართოს შესაბამის პირებს და კლიენტის ოჯახს სიტუაციის შესახებ ინფორმაციის გასაცნობად და ადეკვატური ზომების მისაღებად. ეს მოქმედება არ ჩაითვლება კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად, რადგან მიმართულია კლიენტის მთავარი ღირებულების-სიცოცხლის დასაცავად.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ხათუნა გრიგალაშვილი/

კომისიის წევრი: /სანდრო ჯორბენაძე/

კომისიის წევრი: /ია გაბედავა/